ინოვაციების კლასიფიკაციის სრულყოფა და ორგანიზაციული ფორმები

აკაკი გვარუციძე
სტუ-ს პროფესორი
ნანი მამფორია
სტუ-ს დოქტორანტი

თანამედროვე ეკონომიკაში ინოვაციების როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა, რადგან საბაზრო ეკონომიკის პირობებში იგი წარმოადგენს კონკურენციის უმნიშვნელოვანეს პირობას. ინოვაცია განაპირობებს შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, ფასების შემცირებას, მოგების გაზრდას, ახალ მოთხოვნილებებს, ინვესტიციების მოდინებას, ახალი სახეობის პროდუქციის მწარმოებელთა იმიჯის ამაღლებას, ახალი ბაზრების აღმოჩენასა და ათვისებას.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ინოვაცია განისაზღვრება, როგორც ინოვაციური საქმიანობის საბოლოო შედეგი, რომელიც წარმოდგება ახალი ან სრულყოფილი პროდუქციის სახით მომსახურების ბაზარზე გამოჩენით, ახალი ან სრულყოფილი პროდუქციის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენებით ან სოციალური მომსახურებისადმი ახლებური მიდგომით.[1]

ინოვაცია ახალი ან სრულყოფილი პროდუქციის მიღების წარმოების წესის და შემდგომში შიდა და საგარეო ბაზარზე რეალიზაციის შედეგია. იგი არის შემოქმედებითი პროცესის დამასრულებელი ეტაპი მისი პრაქტიკაში განხორციელების თვალსაზრისით და აღიქმება, როგორც სამეცნიერო - ტექნიკური პროგრესის შედეგების გარდასახვა რეალობაში ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიების სახით. თუ შემოქმედება გულისხმობს სიახლის შექმნას, ინოვაციის შინაარსში იგულისხმება სიახლის პრაქტიკაში გამოყენება.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მასალების ბაზრების ათვისებისათვის მეტოქეობაში გამარჯვებულნი გამოდიან ის ქვეყნები, რომლებიც თავიანთ საქმიანობას აგებენ უპირატესად ინოვაციური მიდგომის საფუძველზე. ის ფაქტი, რომ განვითარებულ ქვეყნებში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ნამეტის 75% – 100% მოდის ინოვაციების წილად, მეტყველებს ქვეყნის ეკონომიკის ინოვაციური გზით განვითარების აუცილებლობას და მის უდიდეს მნიშვნელობაზე. სწორედ ამიტომ უწოდებენ ოცდამეერთე საუკუნეს ინოვაციების საუკუნეს. სწორედ ინოვაციური გზით განვითარება წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნისთვის იმ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომლის წარმატებულმა განხორციელებამ შეიძლება უზრუნველყოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევა და ბაზრის შევსება საკუთარი წარმოების სხვადასხვა სახის კონკურენტუნარიანი პროდუქციით.

ინოვაციების სრულყოფილი დახასიათებისა და გაანალიზებისათვის აუცილებელია მათი კლასიფიკაციის სრულყოფა და ორგანიზაციული ფორმების განსაზღვრა.

მიღებულია ინოვაციების დაყოფა სხვადასხვა ნიშნისა და კრიტერიუმის მიხედვით. მაგალითად, ცვლილებათა სიღრმის მიხედვით ინოვაცია შეიძლება იყოს:

- ევოლუციური, რომელიც გულისხმობს უკვე არსებული პროცესების თანაზომიერ განვითარებას.
- რევოლუციური, რომელიც დაკავშირებულია ახალი იდეების გამოგონებების ნახტომისებურ გამოყენებასთან, რის შედეგადაც ყალიბდება ახალი ბაზარი ან მისი სეგმენტი.

ცვლილებების მასშტაბის მიხედვით შეიძლება გამოვყოთ:

- სტრატეგიული ინოვაცია, რომელიც ორიენტირებულია ორგანიზაციის სტრატეგიული განვითარების მიზნებზე, აქვს სოციალურ - ეკონომიკური ხასიათი და წარმოადგენს ინოვაციური პროექტის რეალიზაციის შედეგს.
- მიმდინარე ინოვაცია, რომლის მიზანია სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლება უფრო მოკლე დროის მონაკვეთში. მასთან დაკავშირებულია მთელი რიგი მიმდინარე ცვლილებები წარმოების მეთოდებსა და შრომის ორგანიზაციაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინოვაციების კლასიფიკაცია მათი საგნის მიხედვით. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია:

- პროდუქტული ინოვაცია, რომელიც

[1] „Иновационныи менежмент“. Под радакций Ильенковой С. Д. Юнитй Москва. 1997.

გულისხმობს ახალი პროდუქციის წარმოებასა და ძველის მოდერნიზაციას. შესაბამისად, განასხვავებენ: რადიკალურ პროდუქციულ ინოვაციებს (ახალი სახეები და პროდუქტთა ახალი ტიპები) და სრულყოფილ პროდუქციულ ინოვაციებს (პროდუქტების ახალი მოდელები) რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, მიიღება მოდერნიზაციის შემთხვევაში.

- მომსახურების ინოვაცია, რომელიც დაკავშირებულია ახალ ან გაუმჯობესებულ მომსახურებასთან. აღსანიშნავია, რომ შეთავაზებულ მომსახურებათა მუდმივი შევსება და განახლება წარმოადგენს საწარმოს წარმატების ერთ - ერთ წინაპირობას. მკვლევართა უმრავლესობის აზრით ინოვაციური მეწარმეობა განეკუთვნება მატერიალური წარმოების სფეროს, რაც უსათუოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ საყურადღებოა ის გარემოება, რომ მშპ-ში მომსახურების ხვედრითი წილის ზრდის გამო მატულობს ინოვაციური პროცესების მნიშვნელობა მომსახურების სფეროში. განვითარებულ ქვეყნებში მომსახურების ხვედრითი წილის ზრდამ მშპ - ში და დასაქმების სფეროში 70% - მდე მომსახურების ინოვაციების შესახებ საზოგადოებაში დისკუსიები გამოიწვია. ერთნი განიხილავენ მომსახურების სფეროს გაფართოებას, როგორც არამატერიალური ეკონომიკის ჩასახვას, მეორენი კი მასში ხედავენ დეინდუსტრიალიზაციის სიმპტომებს, რომელიც ანელებს წარმოების ზრდას და სიმდიდრის დაგროვებას. თანამედროვე ეტაპზე საყოველთაოდ აღიარებული მოსაზრების თანახმად, მატერიალური და არამატერიალური ეკონომიკა ერთმანეთს ავსებს, რაზეც ნათლად მიუთითებს ის გარემოება, რომ პროდუქტები სულ უფრო მეტად ფასდება მათი ხარისხისა და მათ მიერ წარმოდგენილი მომსახურების შესაბამისად.

- შინაარსისა და შინაგანი სტრუქტურის მიხედვით ინოვაციების სახეებია:

- ტექნიკური - წარმოიქმნება ახალი ან გაუმჯობესებული თვისებების მქონე პროდუქტების წარმოების პროცესში.

- ტექნოლოგიური, რომელიც წარმოიქმნება ახალი ან გაუმჯობესებული, უფრო სრულყოფილი მეთოდების გამოყენებით. იგი გულისხმობს ტექნიკისა და ტექნოლოგიების უახლესი მიღწევების ათვისებას, რაც დაკავშირებულია მეცნიერულ ცოდნასთან. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ტექნოლოგიების განვითარების უდიდესი ნაწილი ფირმებისა და ცალკეული გამომგონებლების კერძო კვლევების შედეგია, რომლის მხარდაჭერა საზოგადოების ინტერესებშიც შედის. შეიძლება ითქვას, რომ ცოდნა საზოგადოებრივი საქონელია. როდესაც ერთი ადამიანი რაიმე იდეას აღმოაჩენს, საზოგადოების ცოდნის ყულაბას ავსებს და სხვა ადამიანებს მისი თავისუფლად გმოყენება შეუძლიათ.[2] საყურადღებოა, რომ ერთი ტექნოლოგიიდან მეორეზე გადასვლის პერიოდში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ხდება ის, რომ ფირმის ხელმძღვანელობა, გამოიყენებს რა ხელისუფლებასა და გავლენას, მიაღწიოს ძველი ტექნოლოგიების ბაზაზე პროდუქციის დამუშავებათა. ხარჯების შემცირებას და ფირმის მიერ ახალი ტექნოლოგიების ათვისებას.[3]

- სოციალური ინოვაცია მიმართულია შრომის პირობების გაუმჯობესებაზე, ჯანმრთელობის, განათლებისა და კულტურის პრობლემების გადაწყვეტაზე.

- საბაჟო ინოვაცია, რომელიც გულისხმობს ახალი სამომხმარებლო ბაზრის ან მისი ახალი სეგმენტის ჩამოყალიბებას ინოვაციური პროდუქტების კომერციალიზაციის პირობებში.

- კომპლექსური ინოვაცია, რომელიც წარმოადგენს რამდენიმე სახის ცვლილების ერთობლიობას.

- ინფორმაციული წყვეტს სამეცნიერო - ტექნიკური და საინოვაციო საქმიანობის სფეროში რაციონალური ინფორმაციული ნაკადების, მიღებული ინფორმაციის სარწმუნოებისა და ოპერატიულობის ამაღლების ორგანიზაციის ამოცანებს.

- ორგანიზაციული - მმართველობითი გულისხმობს ორგანიზაციისა და მართვის ახალი მეთოდების გამოყენებას და ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფას. მართალია, თეორიული და მეთოდოლოგიური გარღვევები ნაკლებად შესამჩნევია მატერიალური წარმატების ფონზე, მაგრამ ამ სახის ინოვაციებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საწარმოო პროცესმა შეიძლება სრული კრახი განიცადოს, თუ არ იქნა პრაქტიკულად გამოყენებული მართვის ადეკვატური მეთოდები.

გასული საუკუნის ბოლოს, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ გავრცელდა ფირმის ისეთი ორგანიზაციული ფორმა, როგორიც არის ინჟინერინგი, საქმიანი მომსახურების ერთ-ერთი ფორმა, ინტელექტუალური საქმიანობის ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს კომერციულ საფუძველზე ამა თუ იმ საინჟინრო - საკონსულტაციო მომსახურების გაწევას, მართვის ტრადიციული შეხედულებების

[2] მენქიუ მ. ეკონომიკის პრინციპები. თბ. „დიოგენე", 2000 წ. გვ. 708.

[3] Валдайцев С. В. Оценки бизнеса и инновации. Филинью Москва 2007. ст. 170.

გადასინჯვას და ხშირ შემთხვევაში, არსებულზე უარის თქმას, რაც შეუძლიათ მხოლოდ ახლებურად მოაზროვნე ტიპის მენეჯერებს. ეს უკანასკნელნი მუდმივად ახლის ძიებაში იმყოფებიან, რათა მიაღწიონ ფირმის მენეჯმენტის სრულყოფას. ინჟინერინგი გულისხმობს მენეჯმენტისადმი პროცესულ მიდგომას. ყოველ პროცესს აქვს თავისი მიზანი და ორიენტირებულია საბოლოო შედეგზე. პროცესების მენეჯმენტის და მათი მუდმივი სრულყოფით ფირმას შესაძლებლობა ეძლევა მიაღწიოს თავისი საქმიანობის ეფექტიანად წარმართვას.

უნდა აღინიშნოს, რომ პროცესული მიდგომა არ გამორიცხავს ფუნქციურ მიდგომას, მენეჯმენტის, რომლის პირობებში ფუნქციები განაწილებულია განყოფილებებზე. პერსონალი იძულებულია კარგად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები, მაგრამ იგი არ არის ორიენტირებული საბოლოო შედეგზე. ბიზნეს - ინჟინერინგი ამ შემთხვევაში წარმოგვიდგება მენეჯმენტის ეფექტიან საშუალებად. თუ მენეჯერი მენეჯმენტის ზემოთ აღნიშნულ სისტემებს გამოიყენებს, როგორც განუყოფელსა და ურთიერთშემავსებელს.

გავრცელების მასშტაბის მიხედვით შეიძლება გამოიყოს: ინოვაციები, რომლებიც იქცევიან ერთგვაროვანი პროდუქციის გამოშვების ახალი დარგის საფუძვლად და ინოვაციები, რომლებიც გამოყენებას ჰპოვებს ეროვნული მეურნეობის ყველა დარგსა და სფეროში. ხშირად ეს ორი ტიპის ინოვაცია დროში ერთმანეთს მისდევს. ამის მაგალითია ელექტროგამომთვლელი მანქანების წარმოება და კომპიუტერიზაცია.

- ბაზრისათვის სიახლის ტიპის მიხედვით ინოვაციები იყოფა: სიახლე დარგისათვის მსოფლიოში, სიახლე დარგისათვის ქვეყანაში და სიახლე საწარმოს ან საწარმოთა ჯგუფისათვის.[4]

- ინოვაციები წარმოების საშუალებებში (ცვლილებები მასალების, მანქანა - დანადგარების, ინფორმაციის და ა. შ. გამოყენებაში)

- ინოვაცია წარმოების შედეგებში (ნაკეთობებში, მომსახურებაში, ტექნოლოგიებში და ა. შ.)

ინოვაციების კლასიფიკაციის სხვა ნიშნები და შესაბამისი სახეები მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 1).

ინოვაციათა მოცემული კლასიფიკაციის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიახლეთა გამოყენების პროცესები მათი ხასიათიდან გამომდინარე, მრავალფეროვანია. შესაბამისად მრავალფეროვნებით გამოირჩევა მათი ორგანიზების ფორმები, მასშტაბები, მიღებული შედეგები, რაც აისახება შრომის მწარმოებლურობის ამაღლებაში, მოგების ზრდაში, პროდუქციის გამოშვების მოცულობის გადიდებაში, ფირმის კონკურენტუნარიანობის განმტკიცებაში და ა. შ.

ინოვაციურ პროცესში ეფექტურ ეკონომიკურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებისათვის ნორმალურ პირობებად, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება ჩაითვალოს ყველა უფლების რეალიზაცია, ინოვაციური საქმიანობის ორგანიზაციულ - ეკონომიკური ფორმების მრავალსახეობა.

საინოვაციო პროცესში მონაწილე სტრუქტურების რიცხვს მიეკუთვნება ვენჩურული ექსპლესენტი, კომუტანტი და ვიოლეტი ფირმები.

ვენჩურული ფირმები დამოუკიდებელი მცირე ფირმებია, რომლებიც სპეციალიზდებიან სამეცნიერო კვლევებსა და დამუშავებებზე ახალი პროდუქციის შესაქმნელად. ისინი თავის დამუშავებებს აკისრებენ საინოვაციო პროცესში მონაწილე ორგანიზაციებზე.

ფირმა ექსპლერენტი სპეციალიზდება სიახლეთა შეტანისათვის ბაზარზე.

ფირმა პატიენტი - მუშაობს ბაზრის ვიწრო სეგმენტში საგამომგონებლო აქტივობის დაკვეთების დროს.

ფირმა კომეტანტი - მოქმედებს პროდუქციის გამოშვების შემცირებისას ახალი პროდუქციის ათვისებების მიზნით.

ფირმა ვიოლენტი - აწარმოებს ახალი პროდუქციის სერიულ და მასიურ გამოშვებას.

ინოვაციური ურთიერთობები გულისხმობს არა მარტო კაპიტალის, საქონლის, სამუშაო ძალას, ტექნოლოგიების, ნოუ - ჰაუსა თუ მმართველობით გამოცდილების მოძრაობას, არამედ აგრეთვე წარმოების, კულტურისა და თვით ინოვაციის ფილოსოფიის, როგორც უწყვეტი განვითარების საფუძვლის მოძარობასაც.

თავის მხრივ ინოვაციურ პროცესს აქვს რიგი თვისებები, რომელიც განასხვავებს მას სამეწარმეო პროცესისაგან. ესენია მაღალი რისკი და მიზნის მიღწევის განუსაზღვრელი შესაძლებლობანი, დეტალური დაგეგმვის შესაძლებლობათა და ვარიანტულ - პროგნოზულ შეფასებებზე ორიენტაცია, გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანი ინფორმაციული მასალის გადამუშავების აუცილებლობა.

ინოვაციური პროცესების ორგანიზაციული ფორმების ქვეშ იგულისხმება საწარმოთა კო-

[4] «Иновационный менеджмент». Под редакцией Ильенковой С. Д. «Юнити». М. 1997.

ცხრილი 1. სიახლეთა და ინოვაციათა კლასიფიკაცია

კლასიფიკაციის ნიშნები	ინოვაციის სახეები
1. ინოვაციათა სიახლის დონე	1.1.რადიკალური(პატენტის, გამოგონების აღმოჩენის დანერგვა) 12. ორდინალური (რაციონალიზატორული წინადადება ნოუ - პაუ, და ა. შ.)
2. მეურნეობის დარგი, სადაც ინერგება ინოვაცია	2.1.სიახლეები და ინოვაციები შექმნილი სამეცნიერო სფეროში 2.2. .სიახლეები და ინოვაციები განათლების სფეროში 2.3. ინოვაციები სოციალურ სფეროში (კულტურა, ჯანდაცვა, ხელოვნება და ა. შ.) 2.4ინოვაციები და სიახლეები, რომლებიც ინერგება მატერიალურ წარმოებაში (მრეწველობა, მშენებლობა, სოფლის მეურნეობა)
3. ინოვაციის მიღების სფერო	3.1. ინოვაციები ფირმის შიდა სარგებლობისათვის 3.2. ინოვაციები გაყიდვათა საფუძვლად
4. ეფექტის სახე, რომელიც მიღებულია ინოვაციის დანერგვის შედეგად	4.1. სამეცნიერო - ტექნიკური 4.2. სოციალური 4.3. ეკოლოგიური 4.4. ეკონომიკური (კომერციული) 4.5. ინტეგრალური
5. ინოვაციური მენეჯმენტის ქვესისტემა, რომელშიც ინერგება ინოვაცია	5.1. სამეცნიერო ქვესისტემა 5.2. მიზნობრივი ქვესისტემა 5.3. უზრუნველყოფადი ქვესისტემა 5.4.მართული ქვესისტემა 5.5. მმართველი ქვესისტემა
6.სიახლის ფორმა, ინოვაციის საფუძველზე	6.1. აღმოჩენა, გამოგონება, პატენტი 6.2. ნოუ - პაუ 6.3. სასაქონლო ნიშანი, მარკა, ემბლემა 6.4. ახალი დოკუმენტები, რომლებიც აღწერენ ტექნოლოგიურ საწარმოო მმართველობით პროცესებს, კონსტრუქციები, მეთოდები და ა. შ.

მპლექსი, ცალკე საწარმო ან მისი ქვედანაყოფი, რომლებიც ხასიათდებიან გარკვეული იარარქიული ორგსტრუქტურით და ინოვაციური პროცესების მართვის მექანიზმის შესაბამისი სპეციფიკით. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ამ ფორმათა საბოლოო მიზანია ინოვაციათა პრაქტიკული რეალიზაცია. ზოგადად, ასეთ ინოვაციურ ფორმას უწოდებენ ინოვაციურ საწარმოს კლასიკური რეპროდუქტიული საწარმოებისაგან განსხვავებით საინოვაციო ეფუძნება მოქმედი საწარმოს განვითარების უზრუნველყოფას (ახალი პროდუქცია, ტექნოლოგია, ბაზარი, მასალები, მართვის ფორმები) ან ახალი ინოვაციურად ორიენტირებული საწარმოს შექმნას. ამ მხრივ აღსანიშნავია ისეთი ორგანიზაციული ფორმები, როგორიცაა სამეცნიერო - საკვლევი პარკები (აშშ), ტექნოლოგიათა ინკუბატორობი (ისრაელი), ტექნოლოგიური პარკები

(გერმანია), ტექნოპოლისები (იაპონია), მცირე ინოვაციური საწარმოები და სხვა. საწარმოთა ეს ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საკუთრების ფორმებით, ინოვაციების სპეციფიკით, მასშტაბურობით, მართვის დონით, ტერიტორიული განლაგებით, იერარქიული კავშირების ფორმით და სხვა.

ინოვაციურ საწარმოთა ორგანიზაციული ფორმების ფორმირება ხდება ცალკეული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ფაქტორების ზეგავლენით, კერძოდ, ბუნებრივი რესურსების, სამეცნიერო - ტექნოლოგიური პოტენციალის, სამეწარმეო საქმიანობის, ტრადიციების და სხვათა გათვალისწინებით. ამიტომ ცალკეულ ქვეყანაში ამ ფორმებს აქვს გარკვეული ეროვნული კონფიგურაცია, რომელიც ეფუძნება სამეცნიერო - ტექნოლოგიური განვითარების პროდუქტებს მსხვილი ეროვნული მნიშვნელობის პრობლემების გადასაწყვეტად. ამ საწარმოთა შექმნამ მთელ რიგ ქვეყნებში საფუძველი ჩაუყარა ინოვაციათა ფართო მასშტაბით გამოყენებას.

ინოვაციების რეალიზაციის თანამედროვე ორგანიზაციული ფორმები ძირითადად იქმნება თავისუფალ ეკონომიკის ზონებში, რომლებმაც მსოფლიოს განვითარებულ და რიგ განვითარებად ქვეყნებში ჰპოვეს გავრცელება. თავისუფალი ეკონომიკური ზონა არის არა რაღაც განცალკევებული გაუცხოვებული გეოგრაფიული ტერიტორია, არამედ ეროვნული ეკონომიკური სივრცის განუყოფელი ნაწილი, სადაც მოქმედებს შეღავათებისა და სტიმულირების ისეთი განსხვავებული სისტემა, რომელიც ქვეყნის დანარჩენ ნაწილებში არ გამოიყენება.[5] თავისუფალი ეკონომიკური ზონების ერთ - ერთ სახეობას წარმოადგენენ სამეცნიერო - ტექნიკური პარკები, რომლებშიც იქმნებიან და ვითარდებიან სხვადასხვა სახის კვლევითი სამეცნიერო - ტექნოლოგიური, ტექნოლოგიური, სამრეწველო - ტექნოლოგიური საინოვაციო პარკები. ასეთი პარკები როგორც წესი, მეცნიერებადტევად ფირმებს უქმნიან ხალსაყრელ პირობებს მეცნიერული კვლევა - ძიების ნაყოფიერად წარმართვისათვის. მიდიან რა დიდ რისკზე, ისინი აფინანსებენ პრიორიტეტულ სამეცნიერო მიმართულებებს.

ტექნოპარკის დამფუძნებლად, როგორც წესი, ერთდროულად გამოდიან უნივერსიტეტები, სამეცნიერო ცენტრები, სამრეწველო საწარმოები, საფინანსო ორგანიზაციები და ხელისუფლების ორგანიზაციები. მისი არსებობისა და ფუნქციონირების ძირითად ნიშან - თვისებებს შორის აღსანიშნავია ის, რომ აქვს იურიდიული პირის სტატუსი, უძრავი ქონება, განვითარებული ბიზნეს - ინკუბატორი, ხანგრძლივი ვადით არენდით აღებული ფართი, სათანადო სერვისი, რომელსაც ძალუძს კლიენტი ფირმების მრავალფეროვანი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ჰყავს მენეჯერთა მაღალკვალიფიციური კადრები, რეგიონში წარმოადგენს ისეთ ხელისუფლებას, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის სოციალურ - ეკონომიკურ განვითარებაზე.

უდიდესი ტექნოპარკი აშშ - ში არის სტენფორდის სამეცნიერო პარკი, რომელიც მდებარეობს კალიფორნიაში, სტენფორდის უნივერსიტეტის კუთვნილ მიწებზე, რომლებიც 51-წლიანი ვადით გაცემულია „მაღალტექნოლოგიური კომპანიებისთვის". ეს კომპანიები, როგორც წესი, თანამშრომლობენ უნივერსიტეტთან.

სამეცნიერო ტექნოპარკების ძირითად ამოცანებს შორის აღსანიშნავია, ისეთი ორიგინალური მეცნიერული იდეების შემუშავება, რომელთაც ძალუძთ პროგრესული ხასიათის რადიკალური ცვლილებების შეტანა ტექნიკასა და ტექნოლოგიაში, სამეცნიერო და ტექნიკური ცოდნის უმაღლესი სასწავლებლებიდან და მეცნიერულ - კვლევითი ინსტიტუტებიდან მეურნეობრივ პრაქტიკაში გადაიტანის დაჩქარება.

ტექნოპარკის ერთ - ერთი ძირითადი ტიპია ტექნოპოლისი, რომელიც იქმნება ერთი რეგიონის ფარგლებში, სადაც თავმოყრილია ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო დაწესებულებების, საკონსტრუქტორო ორგანიზაციების, აგრეთვე სამრეწველო საწარმოების კომპლექსი, რომლებიც სიახლეების დანერგვაზე არიან ორიენტირებული. ტექნოპოლისში ხორციელდება სრული საინოვაციო ციკლი კადრების მომზადების ჩათვლით. მათ ფუნქციონირებაში მონაწილეობენ ძირითადად მსხვილი კომპანიები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ფირმის საქმიანობის შესწავლით და განვითარებით. ტექნოპოლისს აქვს უმაღლესი სასწავლებელი, რომლის ფუნქციაში შედის ახალი პერსპექტიული იდეების შემუშევება, კომერციული გამოყენებისათვის სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც შესწევთ უნარი მისცენ კვალიფიციური კონსულტაციები ან ჩაატარონ სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოები დაინტერესებული კომპანიების დაკვეთით. ტექნოპოლისისათვის ასევე დამახასიათებელია მცირე მიზნების „ინკუბატორის" არსებობა, რომელიც საშუალებას იძლევა თავი დააღწიონ პირველ ხანებში დიდ მატერიალურ დანახარჯებს.

ინკუბატორები არის ფირმები, რომლებიც მცირე კვლევით კოლექტივებს წარმოადგენენ და ფლობენ აუცილებელ ინფრასტრუქტურას, საცდელ-

[5] ა. აბრალავა, ლ. გვაჯაია, რ. ქუთათელაძე „საინოვაციო მენეჯმენტი" თბ. 2009 წ.

დანერგვითი და საკვლევი დანადგარები. იგი შედგება ყველაზე მაღალი დონის პროფესიონალებისაგან მრეწველობის, ბიზნესის და მეცნიერების სფეროდან. სათბურების მიზანია ახალი ტექნიკური გადაწყვეტილების საწყის ეტაპზევე დამწყები მეწარმეების მხარდაჭერა, დახმარება მათ სასაქონლო პროდუქტამდე მისაყვანად და აღნიშნული პროდუქტის კომერციულ საფუძველზე დასაყენებლად ინკუბატორების ადმინისტრაცია პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე პროდუქტების პროფესიონალურ და ეფექტურ ხელმძღვანელობაზე, რამდენადაც პროექტის სათბურში ყოფნის პერიოდში სახელმწიფო აძლევს მას ფინანსირებისათვის საჭირო სახსრების დიდ ნაწილს.

ბიზნეს - ინკუბატორი წარმოადგენს რა ტექნოპარკის ნაირსახეობას, არსებითად მის ფუნქციებს ასრულებს და მთელი საინკუბაციო პერიოდის განმავლობაში ეხმარება ფირმებს წინასასტარტო პრობლემების გადაჭრაში. საინკუბატორო პერიოდის გასვლის შემდეგ ფირმა-კლიენტი ტოვებს ინკუბატორს და იწყებს დამოუკიდებელ საქმიანობას. ყურადსაღებია ისრაელის სახელმშიფოში დანერგილი ე.წ. „ინკუბატორების" ანუ „სბთურების" დაფუძნების მეთოდი მცირე ბიზნესის ინოვაციური საქმიანობის სტიმულირებისათვის.

ტექნოპოლისების განუყოფელ ელემენტებს წარმოადგენენ ვენჩურული ფირმები და აქციონერული კომერციული ბანკები.

ვენჩურული ფირმების საქმიანობამ ყველაზე ადრე იჩინა თავი აშშ-ში, შემდეგ კი ფართოდ გავრცელდა ევროპის განვითარებულ ქვეყნებსა და იაპონიაში. 2008 წლისათვის მარტო აშშ-ში ფუნქციონირებდა 600-ზე მეტი ვენჩურული ფირმა, ხოლო ვენჩურული კაარტალის ბაზრის საერთო მოცულობამ 25 მლრდ დოლარს გადააჭარბა.

ყოველი ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ინოვაციების კლასიფიკაციის სრულყოფას და ორგანიზაციული ფორმების განსაზღვრას საბაზრო ეკონომიკის პირობებში ენიჭება დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, ვინაიდან ისინი წარმოადგენენ მეცნიერებისა და წარმოების დაახლოების უეჭველად ეფექტურ ფორმას და რადიკალურად წყვეტენ დანერგვისა და კომერციალიზაციის პრობლემას, მინიმუმამდე დაჰყავთ „კვლევა-დამუშავება-წარმოების" ციკლის ხანგრძლივობა და ხელს უწყობენ ქვეყანაში ეკონომიკის აღმავლობას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბრალავა ა., გვაჯაია ლ., ქუთათელაძე რ. საინოვაციო მენეჯმენტი, სტუ. თბ. 2009 წ.
2. ბარათაშვილი ე., დათაშვილი ვ., ნაკაიძე გ., ქუთათელაძე რ, ინოვაციების მენმეჯმენტი, თბ. 2008წ.
3. გვაჯაია ლ. ინოვაციების რეალიზაციის ორგანიზაციული ფორმები, ჟურ. ეკონომიკა,15-6, 2001.
4. გვარუციძე ა. ინოვაციურ საწარმოთა როლი საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ჟურ., „სოციალური ეკონომიკა", 16, 2011 წ.
5. ვეშაპიძე შ., მსოფლიო ეკონომიკა, თბ. 2008წ.
6. მენქიუ მ. ეკონომიკის პრინციპები, გამომც. „დიოგენე". თბ. 2004 წ.
7. Балабанов И. Инновационный менеджмент «Питер» С. Петербург, 2002.
8. Инновационной менеджмент. Под редакцией Ильенковой С. Д. «Юнити», Москва, 1997 г.
9. Валдайцев С. В. Оценка бизнеса и инновации; Филинь. Москва, 2007 г.

INNOVATION CLASSIFICATION IMPROVEMENT AND ORGANIZATIONAL FORMS

A. GVARUTSIDZE, professor of GTU
N. MAMFORIA, PhD of GTU

In the article "Innovations classification and Organizational forms", A. Gvarutsidze denotes that on base of given classifications of innovations we can make a conclusion: usage of innovation process consequence of their characterization, are various. Accordingly, their organization forms, scales, results are distinguished with variety which are reflected on rear work industrial, profit increase, increase of product issue value, firm concurrency confirmation etc.